



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



MES 3 20 0001131992



27/11/2020

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში
სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ¹“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, და „ღ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 27 ნოემბრის N1131667 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ უშუალოდ ან შესაბამისი უწყებების დახმარებით განხორციელებული შემოწმების შედეგად, სამუშაო ადგილებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2. 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები (გარდა ამ ბრძანების მესამე პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებებისა) უფლებამოსილნი არიან:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტები წარმართონ სასწავლო სახელოსნოებსა და პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილ სხვადასხვა სივრცეებში (მათ შორის საწარმოებსა და პრაქტიკის ობიექტებზე), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სხვა კომპონენტები წარმართონ დისტანციურ რეჟიმში.

3. ქალაქებში - თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ზუგდიდში, ფოთში, მარნეულში, გარდაბანსა და თელავში - არსებულმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, სასწავლო პროცესი წარმართონ მხოლოდ დისტანციური სწავლების ფორმით.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის N820672 და 2020 წლის 02 ოქტომბრის N935838 ბრძანებები.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი

